ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1924 წლის აპრილის 5.	№ 2. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთა-არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 19 ფოსტისადმი მიმართვის დროს იმ პირთთა ხელმოწერისა და პირადობის უსასყიდლოდ დამოწმების შესახებ, ვინც სოფლის მშრომელ არა-შემძლე მოსახლობას ეკუთვნის.

„ 20. იმ გარიგებათა შემდგომი რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, რაც შეეხება მუშა-ძალის დაქირავებას და რაც დადებულ იქნება ისეთ ადგილებში, სადაც ვალდებულება შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მეშვეობით მუშა—ძალის დაქირავებისა გაუქმებულია.

„ 21. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სპეციალობის ტანსაცმელის თაობაზე დაწესებული ნორმების ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე გავრცელების შესახებ.

„ 22. ერთი სადასაზღვეო კასის მოქმედების რაიონიდან მეორეში გადასვლის დროს დაზღვეულთა უზრუნველყოფის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 23. საავანსო განაცემის შესახებ.

„ 24. სამხედრო მოსამსახურეთა, მილიციელთა და მუშა-მოსამსახურეთათვის სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის სფეროში შეღავათის მიცემის შესახებ.

„ 25. **ვ. ი. ლენინის** სახელობის ფონდის შესახებ.

„ 26 სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კუთვნილი ქონებისა და ნაგებობის დაცვისათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამა დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის დადების უფლების მიცემის შესახებ.

„ 27. მარტივი საღერბო გამოსაღების განაკვეთის შეცვლის შესახებ.

„ 28. ზოგიერთი დეკრეტისა და დადგენილების გაუქმების შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის გამო.

„ 29. მუშა-მოსამსახურეთა მიერ სახელმწიფო—საამშენებლო გადასახადის გასტუმრების წესისა და ვადების შესახებ 1923—1924 საბიუჯეტო წლის პირველი ნახევრისათვის.

„ 30. მწარმოებელთა განთავისუფლების შესახებ სადასახლვეო გადასახადის შეტანისაგან იმ ინვალიდებისათვის, რომელნიც მუშაობენ მათთან დაქირავებით და რომელნიც ითვლებიან ინვალიდობის ერთ-ერთ პირველ კატეგორიაში.

„ 31. საბაჟო გადასახადის დაბრუნების შესახებ ასანთისა და საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს.

„ 32. ორმოცდაათ მილიონიანი და სამოცდა ხუთმეტ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ.

„ 33. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი ოცდახუთ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის ხმარების შესახებ.

34. სოციალისტური საბჭოთა რუსპუბლიკების კავშირის სახელმწიფო სახაზინო ბილეთების სავალდებულოდ მიღების შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

„ 35. კავკასიის წითელდროშიან არმიაში ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 36. დებულება ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ, კავკასიის წითელდროშიანი არმიის ნაწილებსა, დაწესებულებებსა და სამმართველოებში.

„ 37. ამიერკავკასიაში სახელმწიფო სტატისტიკის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 38. სახელმწიფო დაზღვევის შესახებ ამიერკავკასიის სოც, ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

„ 39. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ.

„ 40. პენსიისა და დახმარების ნორმების შეცვლისა და ჩერვონეცით გამოანგარიშების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. იანვრის 30.

19. ფოსტისადმი მიმართვის დროს იმ პირთა ხელმოწერისა და პირადობის უსასყიდლოთ დამოწმების შესახებ, ვინც სოფლის მშრომელ არაშემძლე მოსახლეობას ეკუთვნის.

რათა გაადვილებულ და გამარტივებულ იქნეს სოფლის მშრომელ არაშემძლე მცხოვრებთათვის წესი ფოსტიდან კორესპონდენციის მიღებისა,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

უფლება მიეცეს სარაიონო (თემის) და სოფლის აღმასრულებელ კომიტეტებს უსასყიდლოთ დაამოწმონ ხელმე იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობა ფოსტის უწყებაზე და პირადობა, ვინც სოფლის მშრომელ არაშემძლე მოსახლეობას ეკუთხვნის და აგრეთვე დაამოწმონ ხელმე მათივე რწმუნების ქაღალდი ყოველგვარი საფოსტო კორესპონდენციის მისაღებად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
დ. ჰუსეინოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის თებერვლის 6-ს თარიღის 496 №-ში

დადგენილება № 78 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის იანვრის 19.

20. იმ გარიგებათა შემდგომი რეგისტრაციის გაუქმებისა, რაც შეეხება მუშა-ძალის დაქირავებას და რაც დადებულ იქნება ისეთ ადგილებში, სადაც ვალდებულება შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მეშვეობით მუშა-ძალის დაქირავებისა გაუქმებულია.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

იმ ადგილებში, სადაც არ არის შრომის ბირჟა ან საკორესპონდენტო პუნქტი და სადაც ვალდებულება შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების მეშვეობით დაქირავებისა გაუქმებულია და უმუშევართა რეგისტრაციას არა სწარმოებს,—მუშა-ძალის დაქირავების გარიგებათა შემდგომი რეგისტრაცია შრომის ინსპექტორის კამერაში—გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარის
მოადგილე **იაშვილი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ორლოვი-მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა-ს“ 1924 წლის თებერვლის 6-ს თარიღის 496 №-ში.

დადგენილება № 79 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 4.

21. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ სპეციალობის ტანსაცმლის თაობაზე დაწესებული ნორმების ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე გავრცელების შესახებ.

შრომის კანონთა კოდექსის 141 მუხლის საფუძველზე ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი სშრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. აგვისტოს 1-ს დაწესებული სამუშაოთა სია და სპეციალობის ტანსაცმლის ნორმები გავრცელებულ იქნეს ამიერკავკასიის ფედერაციის ფარგლებში ყველა განსაკუთრებით მავნებელ სამუშაოზე, აგრეთვე ისეთ სამუშაოზე, რის გამოც საჭიროა არანორმალურად თბილ ან ნოტიო ადგილას ყოფნა, ან და რაც იწვევს სხეულის გამწვირიანობას; გავრცელებულ იქნეს აგ-

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ისეთ შემთხვევაშიაც, როდესაც ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ჰიგიენა.

2. ამ დადგენილების გამოცემისთანავე გაუქმებულ იქნეს მოქმედება სპეციალობის ტანსაცმელის ყველა იმ ნორმებისა, რაც შემოღებულ იყო ამიერკავკასიის ფედერაციის რესპუბლიკებში.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის

საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ორლოვი-მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1924 წლის თებერვლის 6-ს თარიღის 496 №-ში.

დადგენილება № 80 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 5.

22. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. მაისის 8-ს თარიღითა და 47 №-ით გამოცემული დადგენილების (დაზღვეულთა უზრუნველყოფის წესის შესახებ ერთი სადასაზღვევო კასის მოქმედების რაიონიდან მეორეში გადასვლის დროს) შეცვლისათვის.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. მაისის 8-ს თარიღით და 47 №-ით გამოცემული დადგენილების (დაზღვეულთა უზრუნველყოფის წესის შესახებ ერთი სადასაზღვევო კასის მოქმედების რაიონიდან მეორეში გადასვლის დროს) შესაცვლელად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

I. აღნიშნული დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად: მუხ. 3. „დახმარებას, თანახმად ამა დადგენილების 1-ლი მუხლისა, მისცემს ის სადასაზღვევო კასა, რომლის რაიონშიაც ავადმყოფი დროებით სცხოვრობს. არავითარი ანგარიშის გასწორება სადასაზღვევო კასებ შორის არც ცალკე რესპუბლიკებში და არც ამ რესპუბლიკათა ფარგლების გარეშე—არ მოხდება". მუხ. 4. „სამკურნალო დახმარებას იმ ავადმყოფს, რომელიც სპეციალური წამლობისათვის ამიერკავკასიის ერთი რესპუბლიკიდან მეორეში გადავა, გაუწევს იმ რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველო, სადაც ავადმყოფი იწამლებს საერთო საფუძველზე.

შენიშვნა. აღნიშნული ღონისძიების განხორციელება დაეკისრება რესპუბლიკანურ სადასაზღვევო ორგანოს სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით."

II. დადგენილებას დაემატოს მე-6 მუხლი შემდეგი შინაარსისა: მუხ. 6. „სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოს მიერ დახარჯულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხას, რაც ხარჯთაღრიცხვას აღემატება, აღნუსხავს და აანაზღაურებს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველო, როცა დაამტკიცებს სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოების შემდგომ ხარჯთაღრიცხვებს.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-ს" 1924 წლის თებერვლის 7 თარიღის 497 №-ში.

დადგენილება № 4/120 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 1.

23. საავანსო განაცემის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საღრიცხვო კრედიტების ანგარიშში საავანსო კანაცემის შესახებ 1923 წლის მაისის 10-ს თარიღითა და 46 №-ით გამოცემული დადგენილების (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისა 1923 წ. 8 №, მუხ. 104) 1-ლი მუხლის შესაცვლელად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

იმ ადგილების დაწესებულებათ, სადაც არის ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროები, ავანსი მომქმედი საღრიცხვო კრედიტების ანგარიშში მიეცემათ:

ა) დამამზადებელი და საღმშენებლო ოპერაციებისათვის ერთდროულად არა უმეტეს იმ კრედიტის 25 პროც.-ისა, რაც სათანადო თვისათვის გახსნილია ამა თუ იმ ოპერაციის ან სამუშაოს უზრუნველსაყოფად;

ბ) დანარჩენი საოპერაციო ხარჯებისათვის, როგორიც არის მაგალითად წარმოებისა და ექსპლოატაციის საქმე და სხვ.—ერთდროულად არა უმეტეს იმავე კრედიტის 15 პროცენტისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამ-
მდებობის დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიევშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. თებერვლის 9-ს თარიღის 499 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 11.

24. სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის სფეროში სამხედრო მოსამსახურეთა, მილიციელთა და მუშა-მოსამსახურეთათვის შეღავათის მინიჭების შესახებ.

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის და სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ., № 11, მუხ. მუხ. 190 და 200) შესაცვლელად და შესავსებად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აღნიშნული **დეკრეტის** მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: მუხ. 2. **შენიშვნა**. ამა მუხლის მოქმედება არ გავრცელდება იმ მუშა-მოსამსახურეზე, რომლისათვისაც გადასახადი გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ექვსი თვის შემოსავლის მიხედვით, 1923 წ. აპრილის 1-დან სექტემბრის 30-დე.

2. აღნიშნული **დებულების** მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: მუხ. 9. **შენიშვნა**. გადასახადი არ დაედება სამხედრო მოსამსახურეს და მილიციელს, უკეთუ შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნია, აგრეთვე ამა თუ იმ დაწესებულებისა, საწარმოს და მეურნეობის მუშა-მოსამსახურეს, რომელიც შრომის ხელფასად თვეში 75 საჩერვონცო მანეთზე ნაკლებს იღებს.

3. აღნიშნული **დებულების** მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა: მუხ. 11. **შენიშვნა**. იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც, პირადი საქირავნო შრომის გარდა, შემოსავლის სხვა რამ წყარო არ გააჩნიათ, საშემოსავლო გადასახადი შეეწერებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათი ნახევარ-წლის შემოსავალი 450 საჩერვ. მან. აღემატება; თანაც ისინი გადასახადს გაიღებენ შემდეგი რაოდენობით:

ა., ვინც ნახევარ-წლის განმავლობაში შემოსავალი მიიღო 450მან.; მეტი 500 მანეთამდე. . . . . 3 მან.;

ბ., ვინც მიიღო 500 მან მეტი—650 მანეთამდე . . . . 5 მან.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ., ვინც მიიღო 650 მან. მეტი—700 მანეთამდე . . . 8 მან.;
დ., ვინც 800 მან. მეტი მიიღო—გადასახადს გაიღებს ცხრილის მიმიხედვით, თანაც მას შენაწერი ორი კატეგორიით შეუმცირდება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **მ. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1924 წ. თებერვლის 13-ს თარიღის 502 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წლის თებერვლის 18

+56

25. ვ. ი. ლენინის სახელობის ფონდის შესახებ.

რათა წესიერად იქნეს დაყენებული ყველგან ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე მშრომელთა სურვილით წარმოებული შემოწირულებათა შეკრეფისა და ანარიცხთა გადადების საქმე, ამხანაგ ლენინის სახელის უკვდავსაყოფად, და რათა ამ გზით შემოსული საშუალებანი მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე შეკრეფილი ყველა ნებაყოფლობითი შემოწირულებისა და ანარიცხისაგან შესდგეს „ლენინის სახელობის ფონდი".

2. მოეწყოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სპეციალური კომისია ამხ. აღამალი-ოღლისა, ვირაპისა და სუხიშვილის შედგენილობით და პირველი მათგანის თავმჯდომარეობით.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ სპეციალური რესპუბლიკანური კომისიები „ლენინის სახელობის ფონდისა".

4. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტისა და რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების კომისიები ხელმძღვანელობას გაუწევენ სახსართა შეკრეფისა და დანიშნულებისამებრ რეალიზაციის საქმეს საერთო გეგმის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებენ რესპუბლიკანური კომისიები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიასთან შეთანხმებით.

5. „ლენინის სახელობის ფონდისათვის" შემოწირულებათა და ანარიცხთა შეკრეფა მოხდება ყველგან მარტოოდენ ნებაყოფლობითი სახით და მოხმარდება

ბავშვთა და ინვალიდთა სახლების შექმნას, სკოლების აშენებას და სხვ. რამ ამისთ. უპირატესად, ვიდრე ძეგლების დადგმას.

6. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიას ნება მიეცეს—ამა დადგენილების აღსრულებისათვის—გამოსცეს ძირითადი დებულებანი „ლენინის სახელობის ფონდის“ შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულე-
ბელი კომიტეტის მდივნის მაგ. **ა. შევერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 1924 წ. თებერვლის 13-ს თარიღის 502 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წ. თებერვლის 11.

26. სოცსალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის ამიერკავკასიის სოც, ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ფოსტა ტელეგრაფის უწყების კუთვნილი ქონებისა და ნაგებობის დაცვისათვის სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამა დადგენილებათა დარღვევისათვის გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ.

რათა რადიოსი, ფოსტა-ტელეგრაფის ნაგებობისა და ხელსაწყოს დაქცევა და გაფუჭება, აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კუთვნილი ქონების გატაცება წინასწარვე აღკვეთილ იქნეს,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მიეცეს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის წრმუნებულს—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლ. კაში—უფლება-გამოსცეს ხოლმე სავალდებულო დადგენილებანი:

ა. ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კუთვნილი ქონების გატაცებისა და მისივე ნაგებობათა გაფუჭების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ბ. დაადოს დამნაშავეს აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა დაღვევისათვის ფულადი ჯარიმა ასი საჩერვონეცო მან. რაოდენობამდე.

ის, ვინც თავს განირიდებს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ, ამა დადგენილებით გათვალისწინებულ წესისამებრ, დადებული ჯარიმის გადახდისაგან, მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში ამივრკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის მიხედვით.

ჯარიმა, 1-ლ მუხლში აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დადებული, გადახდევინებულ უნდა იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ—კუთვნილებისამებრ,—გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად. ჯარიმის შემტან პირთ უნდა მიეცეს ხელმე დაწესებული ქვითარი.

გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის შემოსული საჯარიმო თანხები ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში ამიერკავკასიის მანძილშეერთებულობის ოლქის ხარჯთ-აღრიცხვით,

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შევარდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1924 წ. თებერვლის 13-ს თარიღის 502 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 11.

27. მარტივი საღერბო გადასახადის განაკვეთის შეცვლის შესახებ

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1923 წ. სექტემბრის 27 თარიღით გამოცემული (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ. 11-№, 206 მუხ.) დადგენილების შესაცვლელად ჩერვონცზე ნაანგარიშევი მარტივი საღერბო გამოსაღების განაკვეთი გადიდებულ იქნეს 10-დან 15 კაპიკამდე, 75 კაპიკიდან 1 მანეთამდე და 1 მან. 25 კაპიკიდან 1 მან. 65 კაპიკამდე, ხოლო ამავე გამოსაღების უმცირესი განაკვეთი (5 კაპ.) უცვლელად იქნეს დატოვებული.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი ოღლი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გავოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. თებერვლის 13-ს თარიღის 502 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 11.

28. ზოგიერთი დეკრეტისა და დადგენილების გაუქმების შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის გამო.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ზოგიერთი ფუნქციებისაგან განთავისუფლების შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული („ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. დეკემბრის 7-ს თარიღის 282 №-რი) დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: გაუქმებულ იქნეს შემდეგი დეკრეტი და დადგენილება:

ა., დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკების კავშირისა 1922 წლის ივნისის 23 თარიღით (ამიერკავ. სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის კანონთა და განკარგ. კრებ. 1 №-რი, მუხ. 8) ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის დებულების შესახებ.

ბ., დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირისა 1923 წლის აგვისტოს 21 თარიღით (ამიერკავ. სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირი კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 1№-რი, მუხ. 18) საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ თავის მოვალეობათა აღსრულების წესის შესახებ.

გ., დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. იანვრის 29 თარიღით (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკ. კრებ. 1923 წ. 1 №-რი, მუხ. 2) ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის რკინისგზის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ.

დ., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მარტის 5-ს და 22 №-რის დადგენილების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკ. კრებ. 4 №-რი, მუხ. 34) 1-ლი მუხლის ის ნაწილი, რაც შეეხება მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობას კომისიაში.

ე., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მარტის 10-ს და 26 №-რის დადგენილების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წლის 4 №-რი, მუხ. 41) 4 მუხლის ის ნაწილი, რაც შეეხება მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობას სათათბირო ხმის უფლებით ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ სატარიფო კამერაში.

ვ., დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი 1923 წ. მარტის 17 თარიღით (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წლის 5 №-რი, მუხ. 49)—ამიერკავკასიის რკინისგზის მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ საბჭოთა რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისაგან.

ზ., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბაჟო დაწესებულებათაგან დასაწყობი და საბაჟო საკანცელარიო გამოსაღების გადახდევინების შესახებ 1923 წ. აპრილის 13-ს თარიღითა და 37 №-რით გამოცემული დადგენილების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 6 №-რი, მუხ. 70) მე-2 მუხ. 1-ლი შენიშვნის ის ნაწილი, რაც შეეხება საბაჟო სამმართველოსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შეთანხმებას.

თ., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამიერკავკასიის რკინისგზის სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის დებულების შესახებ 1923 აპრილის 7 თარიღით გამოცემული დადგენილების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 7 №-რი, მუხ. 74) მე-7 მუხ. 1-ლი შენიშვნის ის ნაწილი, რაც შეეხება ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობას სატარიფო თათბირში.

ი., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახელმწიფო ფონდების აღნუსხვის შესახებ 1923 წ. აპრილის 26-ს თარიღითა და 42 №-რით გამოცემული დადგენილების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 7-№-რი, მუხ. 90) მე-2 მუხლის ის ნაწილი, რაც შეეხება ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის შეთანხმებას.

კ., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სავალიუტო ოპერაციების შესახებ გამოცემული (ამიერკავ. სოც. ფერ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 7 №-რი, მუხ. 91) დადგენილების მე-8 მუხ. ის ნაწილი, რაც შეეხება მუშათა და გლეხთა ინსპექციის ზედამხედველობას დეკრეტის აღსრულებისათვის.

ლ., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სააღრიცხვო კრედიტების ანგარიშში ავანსის მიცემის შესახებ 1923 წ. მაისის 10-ს თარიღითა და 46 №-რით გამოცემული დადგენილების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 8 №-რი, მუხ. 104) მე-5 და 8 მუხლების ის ნაწილები, რაც შეეხება მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანხმობას გასაცემი ავანსების უკიდურესი ნორმების გადიდების შესახებ და მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, უფლების მინიჭების შესახებ.

მ., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ანგარიშის გასწორების საშუალებად ჩერვონეცის შემოღების შესახებ 1923 წ. მაისის 21-ს დეკრეტის მე-10 მუხლი (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 8 №-რი, მუხ. 114).

ნ., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში სახელმწიფო მონოპოლიის საფუძველზე ზომა-წონის მეტრიული სისტემის შემოღების ღონისძიებათა გაერთიანების შესახებ 1923 წ. ივნ. 21-ს თარიღ. და 58 №-რით გამოცემული (ამიერკავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 9 №-რი, მუხ. 130) დადგენილების მე-2 მუხლის ის ნაწილი, რაც შეეხება ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობას ზემოხსენებული დადგენილების 1-ლი მუხ. აღნიშნულ კომისიაში.

ო., ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში საერთო სახელმწიფო და სახელმწიფო შემოსავალთა შეტანის შესახებ 1923 წ. ივლისის 23-ს თარიღით და 67 №-რით გამოცემული დადგენილების (ამიერკავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. 9 №-რი, მუხ. 155) მე-2 მუხლისა, მე-4 მუხლის ლიტ. „ა"-სა და 5 მუხ. ის ნაწილები, რაც შეეხება სპეციალურ ამკრეფთა ახალ სალაროების გახსნის თაობაზე შუამდგომლობის შეთანხმებას ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან, შეთანხმებას რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან უკიდურესი რაოდენობის თანხის ნორმაზე, რაც სპეციალურ ამკრეფთა სალაროებში შეიძლება ინახებოდეს და სალაროს შემოსავლის თვიური ანგარიშის ერთი ცალის მუშათა და გლეხთა ინსპექციაში წარდგენას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1923 წ. თებერვლის 13-ს თარიღის 502 №-ში.

დადგენილება № 50 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 13.

29. მუშა-მოსამსახურეთა მიერ სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების წესისა და ვადების შესახებ 1923-1924 საბიუჯეტო წლის პირველი ნახევრისათვის.

რათა მუშა-მოსამსახურეთ საშუალება მიეცეთ ნაწილ-ნაწილ გაისტუმრონ სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადი საურავის მიურიცხველად,—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების მე-10 მუხლის საფუძველზე, ადგენს:

1) მუშა-მოსამსახურეს, რომელსაც არა აქვს შემოსავალის სხვა წყარო, გარდა პირადი საქირავნო შრომისა, დამქირავებელი გადაახდევინებს სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს 1923—1924 წ. პირველი საშენაწერო ნახევარწლისათვის, სამ ვადაზე, რისთვისაც ყოველთვიურად, თებერვლიდან დაწყებული, დაუჭერს სამუშაო ხელფასიდან შეწერილი გადასახადის ერთ მესამედს, ისე, რომ გადაიტანს მას ამაერკავკასიის ფულის ნიშნებზე გადახდევინების დღის კურსისამებრ.

2) უკეთუ მუშა-მოსამსახურე სამსახურიდან დათხოვნილ იქნება, მასზე შეწერილი საშემოსავლო გადასახადი უნდა დაუჭიროს დამქირავებელმა სრულად უკანასკნელი სამუშაო ხელფასის ან ჯამაგირის მიცემის დროს.

3) 1-ლი და მე-2 მუხლის თანახმად გადახდევინებულ თანხას დაწესებულება, საწარმო და კერძო დამქირავებელი შეიტანს ან ფოსტით გაუგზავნის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროს სამი დღის განმავლობაში ფულის დაჭერის დღიდან; თანხას უნდა დაერთოს სია, რომელშიაც აღინიშნება: ა) გადამხდელის სახელი და გვარი ბ) საშენაწერო ფურცლის ნომერი და საფინანსო რაიონი, რომელმაც გამოიანგარიშა გადამხდელისათვის შესაწერი გადასახადი; გ) შეწერილი გადასახადი და დ) სიით დაჭერილი თანხა გადასახადისა.

ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **ერქომაიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის თებერვლის 14-ს თარიღის 503 № ში

დადგენილება № 84 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 7.

30. მწარმოებელთა განთავისუფლების შესახებ სადასაზღვეო გადასახადის შეტანისაგან იმ ინვალიდებისათვის, რომელნიც მუშაობენ მათთან დაქირავებით და რომელნიც ითვლებიან ინვალიდობის ერთ-ერთ პირველ სამ ჯგუფში.

მწარმოებელთა განთავისუფლების მიზნით მათთან დაქირავებით მომუშავე ინვალიდებისათვის სადასაზღვეო გადასახადის შეტანასაგან—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. საწარმო, დაწესებულება, მეურნეობა და ცალკე სამუშაოს მიმცემი, რომელიც გამოიყენებს ექსპერტიზის სათანადო ორგანოს მიერ ინვალიდობის პირველ სამ ჯგუფში ჩარიცხულ შრომის ინვალიდთა დაქირავებულ შრომას,—განთავისუფლდება ამ ინვალიდებისათვის სადასასღვეო გადასახადის შეტანისაგან.

2. 1-ლ მუხლში დასახელებულ ინვალიდს არ მიეცემა ინვალიდობის პენსია მუშაობის დროის განმავლობაში, ხოლო მიიღებს დროებითი შრომის უნარდაკარგულობის დახმარებას, აგრეთვე დამატებითი და საექიმო დახმარებას იმგვარადვე, როგორც დაზღვეული.

3. უკეთუ ინვალიდი, რომელსაც პენსიის უფლება აქვს, დასტოვებს დაქირავებით მიღებულ სამუშაოს ან სამსახურს, სოციალური დაზღვევის სათანადო ორგანომ უნდა განუახლოს პენსიის მიცემა.

4. უკეთუ შრომის ინვალიდი, რომელსაც პენსიის უფლება არა აქვს, დათხოვნილ იქნება სამუშაოდან, მას შემდეგ, რაც იგი თავისდროზე მოახდენს შრომის ბირჟაში თავისი თავის რეგისტრაციას, უზრუნველყოფილ იქნება იმგვარადვე, როგორც დანარჩენი უმუშევარნი, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი სტაჟი დაქირავებით მუშაობისა.

5. ყველა განკარგულება, რაც ამა დადგენილებას ეწინააღმდეგება,—გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს
უფროსის მოადგილე **ბლიუმზაკი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგის მაგიერ **თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. თებერვლის 14-ს თარიღის 503 №-ში.

დადგენილება № 5/121 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლ. თებერვლის 1.

31. საბაჟო გადასახადის დაბრუნების შესახებ ასანთისა და საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ადგილობრივი წარმოების ასანთის საზღვარგარეთ გატანის დროს დაბრუნებულ იქნება საბაჟო გადასახადი, რაც გადახდილ იყო ასანთის დასამზადებლად გამოყენებული მანქანებისა და მასალისათვის; დაბრუნება მოხდება ერთი ათასმეხუთასედი კაპიკის რაოდენობით თვითეულ თექვსმეტ ოთხკუთხ მილიმეტრზე კოლოფის იმ მხარის შინა ზედაპირის სივრცისა, რომლისაკენაც ასანთი მიქცეულია თავით.

II. 1-ლ მუხლში აღნიშნული გადასახადის დაბრუნება მოხდება განსაკუთრებული ქვითარის მიცემით, რაც ჩათვლილ უნდა იქნეს ანგარიშში საბაჟო გადასახადის გასტუმრების დროს საზღვარგარეთიდან მიღებული ქვემოაღნიშნული მასალისათვის: ბერტოლეს მარილი, ნავთცვილი, ფოსფორი (ამორფული), გოგირდის სტამბი (ანტიმონი), ჰუმიარაბიკი, კევი (ჰუმი-დრაგანტი), თუთიას სათეთრებელი, უმბრა, გოგირდის ფერი და წითელი მიწა (მუმია), აგრეთვე მანქანები და მათი ნაწილები (1924 წ. თებერვლის 14-ს გამოცემული საევროპო ვაჭრობის საბაჟო ტარიფის 167 მუხლის 1, 7, 9 და 10 პუნქტი—ყველა შემდგომი დამატებითა და ცვლილებით).

III. ანგარიშის გასწორება წინა მუხლში აღნიშნული გადასახადის დაბრუნებისათვის მოხდება ამასთანავე დართული საზღვარგარეთ გასატანი ასანთის კოლოფების ნიმუშთა და დასაბრუნებელი გადასახადის რაოდენობათა 1-ლი ცხრილის საფუძველზე. უკეთუ ასანთი გატანილ იქნება აღნიშნული ცხრილით გაუთვალისწინებელი ნიმუშის კოლოფებით, გადასახადის დაბრუნება მოხდება ამა ცხრილით გათვალისწინებული დასაბრუნებელი გადასახადის უახლოესი უმდაბლესი რაოდენობისამებრ.

IV. ადგილობრივი წარმოების საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს მოხდება დაბრუნება საბაჟო გადასახადისა, რაც გადახდილ იყო აღნიშნულ ნაკეთობათა დასამზადებლად გამოყენებული მანქანებისა და მასალისათვის.

V. ნუსხა საფეიქრო და შირის ნაკეთობათა, რომელთა გატანის დროსაც მოხდება გადასახადის დაბრუნება, და აგრეთვე განაკვეთი დასაბრუნებელი გადასახადისა განსაზღვრულია ამასთანავე დართულ მე-2 ცხრილში.

VI. მე-4 მუხლში აღნიშნული საბაჟო გადასახადის დაბრუნება მოხდება განსაკუთრებული ქვითარის მიცემით, რაც ჩათვლილ უნდა იქნეს ანგარიშში საბაჟო გადასახადის გასტუმრების დროს:

ა) ქვითარი მიცემული ბამბისა, სელისა, ქერელისა და ჯუთის ნაკეთობის (ცხრილის 1—3 მუხლი) გატანისათვის მიიღება ანგარიშში საბაჟო გადასახადის გასტუმრების დროს საზღვარგარეთიდან შემოტანილი იმ საქონლისათვის, რაც აღნიშნულია საევროპო ვაჭრობის საბაჟო ტარიფის 105 (პუნქტი 2—4), 107 (პუნ. 1.) 108 (პუნ. 1), 124 (პუნ. 2), 125, 127, 129, 130, 134, 135, 167 და 179 მუხლში;

ბ) ქვითარი, მიცემული შალისა და ნახევრად-შალის ნაკეთობის (ცხრილის მე-4 მუხ.) გატანისათვის მიიღება ანგარიშში საბაჟო გადასახადის გასტუმრების დროს საზღვარგარეთიდან შემოტანილი იმ საქონლისათვის, რაც აღნიშნულია ზემოხსენებული ტარიფის 105 (პუნქტი 2—4), 107 (პუნ. 1), 108 (პუნ. 1), 124 (პუნ. 2), 125, 127, 129, 130, 134, 135, 167 და 181 მუხლში;

გ) ქვითარი, მიცემული შირის ნაკეთობის (ცხრილის მე-6 მუხლი) გატანისათვის მიიღება ანგარიშში საბაჟო გადასახადის გასტუმრების დროს საზღვარგარეთიდან შემოტანილი იმ საქონლისათვის, რაც აღნიშნულია ზემოხსენებული ტარიფის 88 (პუნქტი 1), 91 (პუნ. 1), 94 (პუნ. 2), 117 (პუნ. 1), 131, 132 (პუნ. 2), 167, 187, 188, 189, 198, 199 და 205 (პუნ. 1, ლიტ. „ბ“) მუხლში.

VII, ასანთისა, საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანა 1-ლ და მე-4 მუხლში აღნიშნული შეღავათით ნებადართულია ყველა საბაჟოდან, საიდანაც შესაძლებელია საქონლის გატანა აქციზის მოხსნით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის თებერვლის 15-ს თარიღის 504 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი I

საზღვარგარეთ გასატანი ასანთიანი კოლოფების ნიმუშთა და დასაბრუნებელი გადასახადის რაოდენობათა.

(ჩერვონეცის ანგარიშით)

№№ ნიმუშთა რიგზე.	სიგრძე კოლოფის გვერდისა რომლისაკენაც ასანთი მიქცეულია თავით.	სიგანე კოლოფის გვერდისა, რომლისაკენაც ასანთი მიქცეულია თავით.	სირვცე კოლოფის გვერდისა, რომლისაკენაც ასანთი მიქცეულია თავით.	რაოდენობა დასაბრუნებელი გადასახადისა 1000 კოლოფზე.
1	22 მ. მ.	10 მ. მ.	220 ოთხკ. მ. მ.	9,1665 კაპ.
2	23 „	10 „	230 „ „	9,5830 „
3	30 „	11 „	330 „ „	13,7500 „
4	31 „	12 „	372 „ „	15,5000 „
5	42 „	9 „	378 „ „	15,7500 „
6	33 „	12 „	396 „ „	16,5000 „
7	31 „	14 „	434 „ „	18,0830 „
8	32 „	15 „	480 „ „	20,0000 „
9	33 „	16 „	528 „ „	22,0000 „
10	34 „	17 „	578 „ „	24,0830 „
11	45 „	17 „	765 „ „	31,8750 „
12	41 „	22 „	902 „ „	37,5830 „
13	41 „	28 „	1148 „ „	47,8330 „
14	110 „	16 „	1760 „ „	73,3330 „
15	110 „	17 „	1870 „ „	77,9165 „
16	91 „	21 „	1911 „ „	79,6250 „
17	115 „	18 „	2070 „ „	86,2500 „
18	110 „	35 „	3850 „ „	160,4165 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი II

საბაჟო გადასახადის დაბრუნებისა საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარგარეთ გატანის დროს

(ჩერვონეცის ანგარიშით)

№№ მუხლებისა ოქმზე.	სახელწოდება ნაკეთობისა, რომლის საზღვარგარეთ გატანის დროსაც მოხდება საბაჟო გადასახადის დაბრუნება.	დასაბრუნებელის გადასახადის განაკვეთი ფუთზე.	
		მანეთი	კაპ.
	1. ბამბის ნაკეთობა, თუნდაც სხვა ჩინჩილის მასალა-ნარევი.		
1	ნართი ხამი და გათეთრებული	5	40
2	ნართი შეღებილი და დაჩითული, გარდა ადრიანოპოლის წითელ ფერად შეღებილისა.	6	95
3	ნართი შეღებილი ადრიანოპოლის წითელ ფერად . .	7	55
4	ძაფი დაგრეხილი ორწვერა და მეტიანი, ხამი და გათეთრებული არა ხის კოჭზე:		
	ა) დამზადებული 50 №-ზე დაბალი ნართიდან (ინგლისური ნიშნით)	5	95
	ბ) დამზადებული 50 და მეტი ნომრის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით).	6	90
5	ძაფი დაგრეხილი ორწვერა და მეტიანი, შეღებილი, არა ხის კოჭზე:		
	ა) დამზადებული 50 №-ის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	7	50
	ბ) დამზადებული 50 და მეტი ნომრის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	8	45
6	ძაფი დაგრეხილი ორწვერა და მეტიანი. ხამი და გათეთრებული ხის კოჭზე:		
	ა) დამზადებული 50 №-ზე დაბალი ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	3	80
	ბ) დამზადებული 50 და მეტი ნომრის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	4	30
7	ძაფი დაგრეხილი, ორწვერა და მეტიანი, შეღებილი, ხის კოჭზე:		
	ა) დაგრეხილი 50 ნომერზე დაბალი ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	4	60
	ბ) დამზადებული 50 და მეტი ნომრის ნართისაგან (ინგლისური ნიშნით)	5	10

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

№№ მუხლებისა რიგზე.	სახელწოდება ნაკეთობისა, რომლის საზღვარგარეთ გატანის დროსაც მოხდება საბაჟო გადასახადის დაბრუნება.	დასაბრუნებელი გადასახადის განაკვეთი ფუთზე.	
		მანეთი	კაპ.
8	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, ხამი და გათეთრებული .	5	65
9	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, შეღებილი და დაჩითული და აგრეთვე ჭრელი, გარდა ადრიანოპოლის წითელ ფერად შეღებილისა.	7	85
10	ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, შეღებილი ადრიანოპოლის წითელ ფერად	8	45
	2. სელისა და ქერელის ნაკეთობა, თუნდაც სხვა ჩინჩილის მასალა-ნარევი.		
1	ხამი ნართი და ძაფი და აგრეთვე თოკი, რომლის ხუთი საჟენი წონით ერთ ლოტზე ნაკლები იქნება .	—	45
2	ნართი და ძაფი გათეთრებული	—	60
3	ნართი და ძაფი შეღებილი	1	85
4	ნაქსოვი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, ხამი	—	50
5	ნაქსოვი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, გათეთრებული . . .	—	75
6	ნაქსოვი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, შეღებილი და აგრეთვე ჭრელი და დაჩითული	1	25
	3. ჯუთის ნაკეთობა.		
1	ნართი და ძაფი	1	90
2	ქსოვილი და ტომარა	2	25
	4. შალისა და ნახევრად შალის ნაკეთობა.		
1	შალისა და ქსოვილის ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის 2 ოთხკ. არშინი წონით ერთ-გირვანქაზე მეტი არ იქნება	6	10
2	შალის ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის 2 ოთხკ. არშინი წონით ერთ გირვანქაზე მეტი იქნება, ხოლო არა უმეტეს 1 გირ. და 25 მისხლ.	5	75

№№ ფეხსაცმელ-ბისა	სახელწოდება ნაკეთობისა, რომლის საზღვარგარეთ გატანის დროსაც მოხდება საბაჟო გადასახადის დაბრუნება.	დასაბრუნებელი გადასახადის განაკვეთი ფუთზე.	
		მანეთი	კაპ.
3	შალის ქსოვილი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის 2 ოთხკ. არშინი წონით 1 გირ. და 25 მისხალზე მეტი იქნება	3	80
4	ნახევრად-შალის ნაქსოვი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის 2 ოთხკ. არშინი წონით ერთ გირვსნქაზე მეტი არ იქნება	6	80
5	ნახევრად-შალის ნაქსოვი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი, რომლის 2 ოთხკ. არშინი 1 გირ. მეტი იქნება, ხოლო არა უმეტეს 1 გირ. და 25 მისხლ	6	55
	5. აბრეშუმისა და ნახევრად-აბრეშუმის ნაკეთობა.		
1	აბრეშუმისა და დაგრეხილი ნართი	65	50
2	აბრეშუმის ნაქსოვი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა თეთრეული და ტანსაცმელი	90	75
3	ნახევრად-აბრეშუმის ნაქსოვი და ხელით ნაქსოვი მატერია, ნაკეთობა, თეთრეული და ტანსაცმელი . .	32	70
	6. შირის ნაკეთობა.		
1	შირის ფეხსაცმელი (კალოში, „ბოტიკი“ და სხვ.) . .	2	05
2	შირის კამერები პნევმატიური სალტისა	1	95
3	პნევმატიური სალტის შემოსაკერელი	4	75
4	შირის მასსიური სალტე (ეკიპაჟის ტვირთ-სალტე) . .	2	40
5	შირის ფირფიტა უსარჩულო	1	55
6	შირის საწოვებელი უნაკერო	1	85
7	შირის საწოვებელი ნაკერი	1	95

დადგენილება № 6122 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 15

32. ორმოცდაათ მილიონიანი და სამოცდა ხუთმეტ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ.

რადგანაც სავაჭრო-სამრეწველო აღებ-მიცემობისათვის საჭიროა ფულის ნიშნების უფრო დიდი კუპიურები, გამოშვებულ იქნეს სახმარებლად ორმოცდაათ მილიონიანი და სამოცდახუთმეტ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშანი იმ საფუძველზე, რაც დაწესებულია ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ ერთიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ 1923 წ. იანვრის 10-ს გამოცემული დეკრეტით.

ამიერკავკასიის ფულის ნიშნის აღნიშნული კუპიურები გამოშვებულ იქნეს 1924 წ. ახალი სახისამებრ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახელითა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარისა და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის ხელმოწერით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდ. დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის თებერვლის 16-ს თარიღის 505 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 15

33. უნიშანწყლო ქაღალდზე დაბეჭდილი ოცდახუთ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშნის ხმარების შესახებ.

რადგანაც ოცდახუთ მილიონიანი ამიერკავკასიის ფულის ნიშანი იბეჭდება, სხვათა შორის, უნიშანწყლო ქაღალდზედაც, ვაცხადებთ მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად, რომ ამიერკავკასიის ფულის ნიშნის აღნიშნულ კუპიურას აქვს კანონიერი მსვლელობა თანასწორად ნიშანწყლიან ქაღალდ-

ზე დაბეჭდილი კუპიურებისა და ამისგამო სავალდებულოა მისაღებად ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისათვის და აგრეთვე კერძო საწარმოსა და პირისათვის,

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
ფინანსთა სახალხო კომისარი **ჰუსეინოვი**
სავალიუტო სამმართველოს უფროსი **საფარიანი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის თებერვლის 16-ს თარიღის 505 № ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლ. თებერვლის 18.

34. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო სახაზინო ბილეთების სავალდებულო მიღების შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მიერ ერთმანეთიანი (1), სამმანეთიანი (3) და ხუთმანეთიანი (5) ოქროს ღირსების სახელმწიფო სახაზინო ბილეთების გამოშვების გამო და სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის თებერვლის 5-ს დეკრეტის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სავალდებულოდ იქნეს მიღება სახელმწიფო სახაზინო ბილეთებისა მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ყველა სალაროებისათვის ყოველგვარი სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდევინების დროს, აგრეთვე ყველა დაწესებულებისა, საწარმოსა და პირისათვას—ყოველგვარი გადასახდელის გადახდევინების დროს—აღნიშნული ბილეთების პირველდებული ოქროს ღირებულობით იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდელი გამოანგარიშებულია ჩერვონეცად ან საჩერვონეცო მანეთად, ან ოქროს მანეთის ოფიციალური კურსით იმ შემთხვევაში, უკეთუ გადასახდელი ნაანგარიშევია ამიერკავკასიის ან საბჭოთა ფულის ნიშნებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი**
ამიერკავკასიის **სოც.** ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. შავერდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. თებერვლის 20-ს თარიღის 508 №-ში.

+66

დადგენილება № 8 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის თებერვლის 14.

35. კავკასიის წითელდროშიან არმიაში ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ

ამიერკავკასიის ცენტრალური არმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ სახელმწიფო დაწესებულებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფის შესახებ მიღებული დეკლარაციის ძირითადი პრინციპების განსახორციელებლად და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წლის აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-5 მუხლის აღსრულებისათვის,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს დებულება კავკასიის წითელდროშიან არმიაში ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

2. ამა დადგენილების აღსასრულებლად კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს დაეკისრება გამოსცეს დამატებითი ინსტრუქციები და ბრძანებანი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის
თანამდებობის დროებით აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წ. თებერვლის 23-ს თარიღის 511 №-ში.

დებულება

36. ეროვნული რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ კავკასიის წითელდროშიანი არმიის ნაწილებსა, დაწესებულებებსა და სამმართველოებში.

ა. არმიის სამმართველოები და დაწესებულებები

1. მიმართავენ ამიერკავკასიის ფედერატიულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს რუსულ ენაზე.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკათა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსულ ენაზე, ხოლო პასუხს, შეკითხვას, მიმართავს და სხვ. მიიღებენ რუსულ ენაზე ან და სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

3. დივიზიების სამმართველოებს და შტაბებს მიმართავენ რუსულ ენაზე.

4. მიწერმოწერას სამმართველოებ შორის და აგრეთვე სამეურნეო, ტეხნიკურ და ფულად ანგარიშგებას აწარმოებენ რუსულ ენაზე.

5. ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომელიც შეეხება არა მარტო არმიის ნაწილებს, არამედ მოსახლეობასაც,—გამოაქვეყნებენ ოთხ ენაზე: რუსულზე, ქართულზე, სომხურზე და თათრულზე.

ბ. ნომრებიანი დივიზიები, გარნიზონები და ნაწილები ამ დივიზიისა

1. რესპუბლიკათა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ სათანადო რესპუბლიკის ენაზე.

2. ყველა ბრძანებას და განკარგულებას, რომელიც შეეხება არა მარტო ნაწილებს, არამედ გვერდით მდებარე ადგილების მოსახლეობასაც,—გამოაქვეყნებენ: რუსულ ენაზე, რესპუბლიკანურ ენაზე და ამა თუ იმ ადგილის ან რაიონის ეროვნული უმცირესობის ენაზე.

გ. სამამართველოები და ნაწილები ნაციონალური დივიზიებისა და სამხედრო სკოლებისა

1. რესპუბლიკათა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ სათანადო რესპუბლიკის ენაზე.

2. ამიერკავკასიის დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიმართავენ იმავე წესით, რაც ამა თუ იმ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებულია მთავრობის ყველა რესპუბლიკანური დაწესებულებისათვის.

3. ურთიერთ შორის მიმართვას აწარმოებენ სათანადო რესპუბლიკანურ ენაზე.

4. კომანდობასა და ამა თუ იმ დივიზიისა და სკოლის წითელარმიელების და კურსანტების სწავლებას აწარმოებენ სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

შენიშვნა. ცალკე რესპუბლიკების ნაციონალურ უმცირესობათა წითელარმიელებისა და კურსანტების პოლიტიკური აღზრდა-სწავლება შეიძლება სწარმოებდეს მათ მშობლიურ ენაზე.

ურთიერთობრივი მიმართვა მოსახლეობასთან.

1. კავკასიის წითელდროშიანი არმიის ყველა სამმართველო, დაწესებულება და ნაწილი ვალდებულია მიმართოს მოსახლეობას ამა თუ იმ ადგილის ან რაიონის ძირითად ენაზე

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპულიკის მოქალსქეთა შეკითხვაზე, განცხადებაზე, საჩივარზე და სხვ. მიმართვაზე არმიის ყველა სამმართველო, დაწესებულება და ნაწილი ვალდებულია უპასუხოს იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია მიმართვა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის
სახ. კომ. საბჭ. მდივნის თანამდ. დროებ. აღმსრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის თებერვლის 23-ს იარაღის 511 №-ში.

დადგენილება № 7 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წ. თებერვლის 14.

37. ამიერკავკასიის სახელმწიფო სტატისტიკის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამა დადგენილებასთან დართული „დებულება ამიერკავკასიის სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ".

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მართველი **ნ. ივანიშვილი**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კოვისართა საბჭოს მდივნის თანამდ.
დროებითი აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 24-ს თარიღის 512 №-ში.

დებულება

ამიერკავკასიის სახელმწფო სტატისტიკის შესახებ.

§ 1. ამიერკავკასიის სახელმწიფო სტატისტიკის ცენტრალურ ორგანოდ არის ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

§ 2. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო თავის შინაგან ორგანიზაციისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. სებჭოთა რესპუბლიკის ყველა სხვა დაწესებულებისადმი ურთიერთი მიმართვის სფეროში იხელმძღვანელებს სათანადო წესებს, რაც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისათვის არის დადგენილი.

§ 3. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სათავეში სდგას გამგე, რომელსაც აარჩევს სახალხო კომისართა საბჭო და რომელსაც სათათბირო ხმის უფლება აქვს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოში.

§ 4. ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგებლობის ფარგალს შეადგენს: ა., საერთო ხელმძღვანელობის გაწევა რესპუბლიკის სტატისტიკისათვის და ზრუნვა სტატისტიკური ცოდნის გავრცელებისათვის; ბ., სტატისტიკურ-ეკონომიური გამოკვლევანი მთელი რესპუბლიკის მასშტაბით; გ. განხილვა და დამტკიცება ამიერკავკასიის ცალკე რესპუბლიკებში წარმოებული სტატისტიკური გამოკვლევებისა და მუშაობის გეგმისა და პროგრამისა; დ., თავმოყრა და შემუშავება იმ მასალებისა, რასაც იგი მიიღებს ცალკე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოებიდან და სხვა წყაროდან და აგრეთვე იმ მასალებისა, რასაც ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო უმეშვეოდ თვით შეაგროვებს; ე., გამოცემა ყოველწლიური კრებულისა და სხვა პერიოდული გამოცემისა, რაც უნდა შეიცავდეს ცნობებს ამიერკავკასიის შესახებ და აგრეთვე კრებულებისა, მიმოხილვისა, მონოგრაფიისა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგებლობის ამა თუ იმ საკითხის გამო.

შენიშვნა. ადგილობრივი სტატისტიკური გამოკვლევა მოხდება საათანადო რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მეშვეობით.

§ 5. რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო შეინარჩუნებს უწყებულ რესპუბლიკაში „სახელმწიფო სტატისტიკის დებულებით“ გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობას. ხოლო ამა თუ იმ რესპუბლიკაში განზრახული სტატისტიკური გამოკვლევისა და აღწერის გეგმა და პროგრამა მან უნდა წარუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დავალება სავალდებულოა რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოსათვის.

§ 6. ფედერატიული უწყებისა და დაწესებულების სტატისტიკური ორგანო ამ უწყებისა და დაწესებულების სამსახურებრივ—პრაქტიკული სტატისტიკის აპარატია და თავის მუშაობაში იხელმძღვანელებს „ამიერკავკასიის სახელმწიფო სტატისტიკის დებულებას“.

§ 7. რათა წარმატებით იქნეს განხორციელებული ამა დებულების მე-4 §-ს „ა“ და „გ“ პუნქტები ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან პერიოდულად მოწვეულ უნდა იქნეს ხოლმე სესია ცალკე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამგეთაგან (ან მათ მოადგილეთაგან).

§ 8. თავისი მუშაობის შესათანხმებლად ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იქონიებს მუდმივ საპროგრამო-საორგანიზაციო ურთიერთობას სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირისა და ამ კავშირში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებთან. ამავე მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო დაიჭერს კავშირს სხვა სახელმწიფოთა ცენტრალურ სტატისტიკურ დაწესებულებებთან.

დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ-ლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის თებერვლის 14.

38. სახელმწიფო დაზღვევის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წ. სექტემბრის 16-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის შესაცვლელად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სადასაზღვევო საქმის საერთო ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში და მეთვალყურეობა და ზედამხედველობა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოქმედებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში—დაეკისროს ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

2. სახელმწიფო დაზღვევის რწმუნებულს და მის მოადგილეს მთლად ამიერკავკასიისათვის და აგრათვე წარმომადგენლობათა გამგეებს ცალკე რესპუბლიკებისათვის—დაამტკიცებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

3. რათა ხელი შეეწყოს სადასაზღვევო საქმის განვითარებას ამიერკავკასიაში და მოწესრიგებულ იქნნეს დაზღვევის ორგანიზაციების მოქმედება—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან მოეწყობა სადასაზღვევო საქმის საბჭო. საბჭოში შევლენ თავმჯდომარე და ორი მუდმივი წევრი, რომელთაც დანიშნავს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, აგრეთვე მუდმივი თითო წარმომადგენელი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში) სამმართველოსი, სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში) სამმართველოსი, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოებისა, ამიერკავკასიის ცენტროკავშირისა და ორი წარმომადგენელი ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსი.

4. სადასაზღვევო საქმის საბჭოს მოვალეობას შეადგენს:

ა) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა სახელმწიფო დაზღვევის ამიერკავკასიის სამმართველოს მოქმედებისათვის და დაზღვევის სხვა ორგანიზაციათა მოქმედებისათვის.

ბ) განხილვა დაზღვევის საერთო წესებისა, ტარიფისა, პრემიებისა და მათი წესებისა და სხვადასხვა განზრახულებისა მათი სასურველი შეცვლა-დამატების შესახებ.

გ) განხილვა სავალდებულო დაზღვევის გეგმისა და ყოველი განზრახულებისა არსებულ გეგმათა შეცვლისა და დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განხილვა საკანონმდებლო განზრახულებათა დაზღვევის საქმის სფეროში.

ე) განხილვა საერთო ღონისძიებათა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში პრევენტიული და აღმდგენელობითი დაზღვევის განსავითარებლად.

ვ) განხილვა იმ სადავო საკითხებისა დაზღვევის საქმეში, რაც აღიძვრის ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსა და დაინტერესებულ ორგანიზაციისა და პირთა შორის, გარდა ისეთი საკითხებისა, რომელიც ექვემდებარება სასამართლო დაწესებულების გამგებლობას.

ზ) განხილვა იმ საკითხებისა, რაც წარმოგზავნილ იქნება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სადასაზღვევო საქმის საბჭოსაგან.

5. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული სადასაზღვევო ოპერაციების წმინდა მოგების 20 პროც. გადადებულ იქნეს იმ წინასწარ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რაც ხმარებულ უნდა იქნეს დაზღვევით გათვალისწინებულ უბედურებათა თავიდან ასაცდენად, ხოლო 15 პროც. ჩაირიცხოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავალში.

შენიშვნა. პირველი ანარიცხი ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განაწილდება ცალკე რესპუბლიკათა შორის თანაბრად თვითეულ რესპუბლიკაში შესრულებული სადასაზღვევო ოპერაციების ფარგლებისა, ხოლო მეორე ანარიცხი შევა საერთო ფედერატიულ შემოსავალში.

6. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე ინსტრუქციები და წესები ამა დეკრეტის შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო
კომ. საბჭოს მდივნის თანამდებ. დრ. აღმასრულებელი **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1924 წლის თებერვლის 24 თარიღის 512 №-ში.

დადგენილება № 87 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 27.

39. მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ.

რათა საშუალება მიეცეს ყველა მუშა-ქალს მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულში ქალთა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღეს—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. 1924 წლის მარტის 8-ს განთავისუფლებულ იქნენ მუშა-ქალები სამუშაოსაგან ყველი საწარმოში და დაწესებულებაში ორი საათით ადრე ჩვეულებრივი მუშაობის გათავების დრომდე, ისე კი, რომ ამ განთავისუფლებამ არ უნდა, გამოიწვიოს მთელი საწარმოს ან დაწესებულების მუშაობის შეჩერება.

2. იქ, სადაც ქალები უმრავლესობას შეადგენენ და სადაც მათი მუშაობის შეჩერება, წარმოების პირობების გამო, შეუძლებლად ჰხდის საერთო მუშაობის განგრძობას, მთლად საწარმოს მუშაობა შესწყდება ორი საათით ადრე.

3. სასყიდლის მიცემა მარტის 8-სათვის მოხდება შრომის კანონთა კოდექსის 113 მუხლისა და ამა მუხლის შენიშვნის თანახმად.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა-ქალთა განთავისუფლებას, სახელმწიფო ინტერესის თვალსაზრისით, შეუძლიან ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივად საჭირო საწარმოს, როგორიც არის ტელეგრაფი, ტელეფონი, ტრანსპორტი, საავადმყოფო, საზოგადოებრივი სასადილო, კვების პუნქტი და სხვ.,— მუშა-ქალები სამუშაოსაგან არ განთავისუფლდებიან, ხოლო მიიღებენ გასამრჯელოს ორი საათისათვის ერთნახევარი რაოდენობით,

შენიშვნა. აღნიშნული გასამრჯელო ერთნახევარი რაოდენობისა გავრცელდება ისეთ შემთხვევაზედაც, როდესაც ქალები არ განთავისუფლდებიან მუშაობისაგან თანახმად ამა დადგენილების 1-ლი მუხლის მეორე ნაწალისა.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის

საერთო საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე **თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1924 წლის თებერვლის 28-ს თარიღის 514 №-ში.

დადგენილება № 85 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წლის თებერვლის 26.

40. პენსიისა და დახმარების ნორმების შეცვლისა და ჩერვონეცით გამოანგარიშების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. მაისის 8-ს თარიღითა და 46 №-ით და 1924 წ. ივლისის 20-ს თარიღითა და 63 №-ით გამოცემულ დადგენილებათა და აგრეთვე ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. ივლისის 30-ს ცირკულიარისა (შრომის სახალხო კომისარიატის 247—49 №-ის ინსტრუქციით) და 1923 წ. აგვისტოს 28-ს თარიღისა და 85 №-ის ცირკულიარის შესაცვლელად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ნორმა სადასაზღვეო ორგანოთა პენსიონერების პენსიისა და აგრეთვე ნორმა დამატებითი და უმუშევრობის დახმარებისა—დაწესდეება შემდეგი რაოდენობით: ა) პენსია შრომის ინვალიდებს: 1-ლი ჯგუფისათვის 90% საბიუჯეტო ინდექსის ღირებულებისა; მე-2 ჯგუფისათვის—$^2/_3$ პირველი ჯგუფის ინვალიდთა პენსიისა; მე-3 ჯგუფისათვის—$^1/_2$ პირველი ჯგუფის ინვალიდთა პენსიისა; ბ) პენსია იმ დაზღვეულთა ოჯახის წევრებს, რომელმაც დაჰკარგა მრჩენე-

ლი: ოჯახისათვის, რომელსაც ჰყავს სამი და მეტი არაშრომისუნარიანი წევრი —$^2/_3$ პირველი ჯგუფის ინვალიდთა პენსიისა; ოჯახისათვის, რომელსაც ჰყავს ორი არაშრომისუნარიანი წევრი—$^1/_2$ პირველი ჯგუფის ინვალიდთა პენსიისა; ოჯახისათვის, რომელსაც ჰყავს ერთი არაშრომისუნარიანი წევრი—$^1/_3$ პირველი ჯგუფის ინვალიდთა პენსიისა; გ) დახმარება უმუშევართ: 1-ლი კატეგორიისათვის—50$_0/^0$ საბიუჯეტო ინდექსის ღირებულებისა; მე-2 კატეგორიისათვის—35$_0/^0$ საბიუჯეტო ანდექსის ღირებულებისა; დ) დამატებითი დახმარება ერთდროული ახლად დაბადებული ბავშვის მოსავლელად—80$_0/^0$ საბიუჯეტო ინდექსის ღირებულებისა; ყოველთვიური ცხრათვის განმავლობაში კვებისათვის—20$_0/^0$; ერთდროული დახმარება დასამარხად—80$_0/^0$.

შენიშვნა. სადასაზღვეო ფონდის რაოდენობის მიხედვით სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ ორგანოს უფლება აქვს პარველი ჯგუფის ინვალიდთა პენსია გაადიდოს საბიუჯეტო ინდექსის ღირებულების 100$_0/^0$-დე, ისე კი, რომ თანაბრად შესცვალოს ინვალიდთა დანარჩენი ჯგუფების პენსია და აგრეთვე დაზღვეულთა იმ ოჯახების პენსია, რომელთაც დაჰკარგეს მრჩენელი. აღნიშნულ ნორმამდე პენსიის გადიდება სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული პენსია და დახმარება გამოანგარიშებულ უნდა იქნეს საბჭოთა მანათებად (ამიერკავკასიის ფულის ნიშნებად) ადგილობრივი ინდექსის მიხედვით, რაც იქნება იმ თვის 1-ლ რიცხვს, რა თვისთვისაც გაიცემა პენსია თუ დახმარება და გადატანილ უნდა იქნეს ჩერვონეცის მანათზე და კაპიკზე იმავე დღის კურსისამებრ.

3. პენსია და დახმარება გაიცემა ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით ჩერვონეცის იმ კურსისამებრ, რაც იქნება პენსიის და დახმარების მიცემის დღეს.

4. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებული პენსიისა და დახმარების ნორმა შეიძლება შემცირებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მიღებულ იქნება საამისო წინასწარი ნებართვა ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოსაგან.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წლის მარტის 1-დან.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური
დაზღვევის მთავარი სამმართველოს უფროსი **ა. იაშვილი.**

შეთანხმებულია: სრულიად რუსეთის პროფესიონალურ
კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის ბიუროს გამგე **სემკოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის საერთო
საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ვ. ორლოვი-მალახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 1924 წლის თებერვლის 28-ს თარიღის 514 №-ში.

თავარლიტი № 1650. ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 2659. ტირაჟი 500.